



EEU

**2020-2021 სასწავლო წლის სამეცნიერო
გრანტების კონკურსის პირობები**

შინაარსი



საგრანტო კონკურსის მიზანი და ადმინისტრირება_____ 2



საგრანტო პროექტის ხანგრძლივობა და გრანტის ბიუჯეტი_____ 2



კონკურსში მონაწილეობის უფლების მქონე სუბიექტები და პირობები _____ 2



საკონკურსო დოკუმენტაცია, წარმოდგენის ვადები და წესი _____ 3



საგრანტო პროექტის ბიუჯეტი _____ 4



საგრანტო პროექტების შეფასება _____ 4



საგრანტო ხელშეკრულება _____ 5



პროექტის შესრულების მონიტორინგი _____ 5



დამატებითი მოთხოვნები გრანტის მიმღებთა მიმართ _____ 6

საგრანტო კონკურსის მიზანი და ადმინისტრირება

- 2020-2021 სასწავლო წლის სამეცნიერო გრანტების კონკურსის (შემდგომში - კონკურსი) მიზანია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის სრულად ამოქმედება, ახალი ცოდნის შექმნა, მკვლევართა საერთაშორისო აქტუალურ სამეცნიერო პროექტებში ინტეგრაციის ხელშეწყობა და მეცნიერებაში ახალგაზრდების მოზიდვის წახალისება.
- კონკურსისთვის უნივერსიტეტის სამეცნიერო ფონდიდან გამოყოფილია 100 000 ლარი.
- კონკურსის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შექმნილი საგრანტო კონკურსის კომისია (შემდგომში - კომისია).

საგრანტო პროექტის ხანგრძლივობა და გრანტის ბიუჯეტი

- საკონკურსოდ წარდგენილი საგრანტო პროექტის ხანგრძლივობა უნდა იყოს 12 თვე.
- საგრანტო პროექტისთვის უნივერსიტეტის სამეცნიერო ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 25 000 ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

ერთი საგრანტო პროექტის მაქსიმალური წლიური ბიუჯეტი	საგრანტო პროექტის ხანგრძლივობა
25 000	12 თვე

კონკურსში მონაწილეობის უფლების მქონე სუბიექტები და პირობები

1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისა და გრანტის მოპოვების უფლება აქვთ მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს.
2. პროექტი უნდა წარმოადგინოს პირთა ჯგუფმა, ინდივიდუალური პროექტი არ ექვემდებარება კომისიის მიერ განხილვას.
3. პირი არ შეიძლება მონაწილეობდეს ერთზე მეტ პროექტში.
4. პროექტს უნდა ჰყავდეს ძირითადი პერსონალი, რომლებიც ასრულებენ პროექტით დაგეგმილ ძირითად ამოცანებს. ძირითადი პერსონალი შეიძლება იყოს დოქტორის, მაგისტრის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, პროექტის განხორციელებაში უნდა მონაწილეობდეს დოქტორანტურის, მაგისტრატურის ან ბაკალავრიატის მინიმუმ ორი სტუდენტი.

5. პროექტის რეგისტრაციის პერიოდში პროექტში ჩართულ სტუდენტს უნდა ჰქონდეს სტუდენტის აქტიური სტატუსი.
6. პროექტს უნდა ჰყავდეს პროექტის ხელმძღვანელი – დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი ძირითადი პერსონალიდან, რომელიც პროექტს განახორციელებს, ხელმძღვანელობს პროექტით გათვალისწინებულ კვლევას და პასუხისმგებელია, როგორც პროექტის სამეცნიერო შედეგებზე, პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე, პროექტის მართვაზე.
7. პროექტს შეიძლება ჰყავდეს დამხმარე პერსონალი – პროექტის ფარგლებში დასაქმებული პირ(ებ)ი, რომლებიც ეხმარებიან ძირითად პერსონალს ტექნიკური საკითხების მოგვარებაში. დაუშვებელია დამხმარე პერსონალის ფუნქციები შეითავსოს პროექტის ძირითადმა პერსონალმა.
8. სასურველია პროექტში კონსულტანტის სტატუსით ჩართული იყვნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც მუშაობენ პროექტით გათვალისწინებული კვლევის თემატიკაზე და კონსულტაციას გაუწევენ ძირითად პერსონალს პროექტით გათვალისწინებული კვლევის ფარგლებში. კონსულტანტი არ შეიძლება იყოს პროექტის ძირითადი პერსონალი/გრანტის მიმღები.
9. კონკურსში მონაწილე სუბიექტის მიერ წარმოდგენილი საგრანტო პროექტი არ უნდა იყოს წარდგენილი სხვა საგრანტო კონკურსზე.

საკონკურსო დოკუმენტაცია, წარმოდგენის ვადები და წესი

1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად უფლებამოსილმა სუბიექტებმა დადგენილ ვადებში უნდა წარმოადგინონ საგრანტო პროექტის განაცხადი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად.
2. საგრანტო პროექტის განაცხადი უნდა მოიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს:
 - 2.1 საგრანტო პროექტის განაცხადი (დანართი 1, ხელმოწერილი და დასკანერებული სახით);
 - 2.2 საპროექტო წინადადება ქართულ ენაზე (დანართი 2, PDF დოკუმენტის სახით);
 - 2.3 პროექტის ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება (ბიუჯეტის ფორმა - დანართი 3);
 - 2.4 პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (ფორმა - დანართი 4);
 - 2.5 უცხოელი კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხმობის წერილი პროექტში მონაწილეობის შესახებ.
 - 2.6 პროექტის ხელმძღვანელის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;
 - 2.7 პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული ფიზიკური პირების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები (დიპლომი, დოქტორანტის/ მაგისტრანტის, ბაკალავრის სტუდენტის შემთხვევაში ცნობა სწავლის შესახებ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტიდან);
 - 2.8 კვლევით პროექტში ჩართულ პირთა (ხელმძღვანელის, მკვლევარების) პროფესიული რეზიუმეები.

3. საგრანტო პროექტის განაცხადი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად 2020 წლის 31 ივლისიდან - 15 ოქტომბრის ჩათვლით უნდა გამოიგზავნოს ელექტრონული ფოსტის მისამართზე: sciencepapers@eeu.edu.ge.

საგრანტო პროექტის ბიუჯეტი

1. საგრანტო პროექტის განაცხადს თან უნდა ახლდეს პროექტის ბიუჯეტი დანართში №2 მოცემული ფორმით.
2. პროექტის ბიუჯეტი უნდა მოიცავდეს შემდეგ ძირითად მუხლებს:
 - ა) ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება;
 - ბ) დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება;
 - გ) მივლინება;
 - დ) საქონელი და მომსახურება;
 - ე) არაფინანსური აქტივები.
3. გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება პროექტის დასრულების შემდეგ საკუთრებაში რჩება აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

საგრანტო პროექტების შეფასება

1. კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი რეგისტრირებული პროექტები შესაფასებლად გადაეცემა დამოუკიდებელ ადგილობრივ დარგობრივ ექსპერტს ან ექსპერტთა ჯგუფს, რომელთაც შეარჩევს საგრანტო საკონკურსო კომისია.
2. დამოუკიდებელი ექსპერტი/ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ი პროექტს აფასებენ დანართში №5 მოცემული „საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმებით“.
3. კომისია უფლებამოსილია, კონკურსის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსში მონაწილე პროექტის მიმართ შეიმუშავოს რეკომენდაციები/ დაადგინოს ხარვეზი და დააწესოს გონივრული ვადა აღნიშნული რეკომენდაციების გასათვალისწინებლად/ ხარვეზის აღმოსაფხვრელად. კომისიის რეკომენდაციების შესრულება სავალდებულოა კონკურსში მონაწილეთათვის. რეკომენდაციების გაუთვალისწინებლობის/ ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია პროექტი მოხსნას კონკურსიდან.
4. კომისია უფლებამოსილია, კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტები, რომლებიც არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას.

საგრანტო ხელშეკრულება

1. კონკურსის შედეგად დასაფინანსებლად შერჩეული საგრანტო პროექტების დამტკიცების შემდეგ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს გრანტის მიმღებთან - პროექტებში მონაწილე ძირითად პერსონალთან საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმებას, რომელშიც დეტალურად გაიწერება ურთიერთვალდებულებათა პირობები.
2. საგრანტო ხელშეკრულებაში გაიწერება პროექტით განსაზღვრული კვლევის შედეგების ამსახველი მასალა;
3. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ პროექტის საგრანტო დაფინანსება ხორციელდება ტრანშების სახით. გრანტის თანხები გადაირიცხება პროექტის მიზნობრივ ანგარიშზე ავანსის სახით. პირველი ტრანში გადაირიცხება ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. ყოველი მომდევნო ტრანში გადაირიცხება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის შუალედური ანგარიშების განხილვის საფუძველზე.
4. გამარჯვებული პროექტის ხელმძღვანელის ან ძირითადი პერსონალის წევრების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევების დროს, არგუმენტირებული დასაბუთების საფუძველზე.
5. ყოველი საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე არა უგვიანეს 30 დღით ადრე სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ წარდგენილი დასაბუთებული მოთხოვნით საგრანტო ხელშეკრულების სამოქმედო გეგმაში ან/და ხარჯთაღრიცხვაში შესაძლებელია განხორციელდეს ცვლილება საგრანტო კომისიის თანხმობით.

პროექტის შესრულების მონიტორინგი

1. გრანტის მიმღები ვალდებულია ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული ფორმების შესაბამისად უნივერსიტეტის საგრანტო კომისიას წარუდგინოს პროექტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამული აქტივობებისა და გაწეული ხარჯების დოკუმენტირებული ანგარიში. საგრანტო კომისია ახორციელებს დაფინანსებული პროექტების საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგს, რომლის დროსაც განიხილავს გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილ შუალედურ და საბოლოო ანგარიშებს და ადგენს შესაბამის განხილვის აქტს.
2. მონიტორინგი მოიცავს ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს:
 - 2.1 ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში კომისიის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.
 - 2.2 პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით დაგეგმილი შედეგების შესრულების დამადასტურებელი ანგარიშის შემოწმებას „პროექტით განსაზღვრული კვლევის შედეგების ამსახველი მასალის“ შესაბამისად.

3. პროექტის ბოლო საანგარიშო პერიოდის მიმდინარეობისას ან მისი დასრულების შემდგომ 10 კალენდარული დღის განმავლობაში, არგუმენტირებული დასაბუთების წარმოდგენის შემთხვევაში, საგრანტო კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პროექტის ხანგრძლივობის მაქსიმუმ 1 წლით გაგრძელების შესახებ დამატებითი დაფინანსების გარეშე.
4. გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი შუალედური და საბოლოო ანგარიშების შემოწმების საფუძველზე მომზადებული განხილვის აქტები უნივერსიტეტის მიერ შესაძლოა გამოყენებულ იქნეს გრანტის მიმღების მიერ მომავალ საგრანტო კონკურსებში მონაწილეობისას წარდგენილი პროექტების შეფასებისას.

დამატებითი მოთხოვნები გრანტის მიმღებთა მიმართ

1. გრანტის მიმღები ვალდებულია, პროექტით გათვალისწინებული კვლევის მასალებზე დაყრდნობით გამოაქვეყნოს მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატია საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემებში ან წარმოადგინოს ცნობა სტატიის გამოსაქვეყნებლად მიღების შესახებ. საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემად განიხილება ის ჟურნალები, წიგნები და კრებულები, რომლებიც ხილვადია ჩამოთვლილთაგან მინიმუმ ერთ-ერთ სამეცნიერო ბაზებში: Scimago Journal Ranking, Elsevier (Scopus და ScienceDirect), Web of Science, ERIH plus.
2. გრანტის მიმღები ვალდებულია, პროექტით გათვალისწინებული კვლევის მასალებზე დაყრდნობით გამოაქვეყნოს მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატია ადგილობრივ რეფერირებად გამოცემებში ან წარმოადგინოს ცნობა სტატიის გამოსაქვეყნებლად მიღების შესახებ.
3. გრანტის მიმღები ვალდებულია საზღვარგარეთ მინიმუმ ერთ სამეცნიერო საერთაშორისო კონფერენციაში მიიღოს მონაწილეობა;
4. საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგების ამსახველ პუბლიკაციებში (სტატია, მონოგრაფია, საკონფერენციო აბსტრაქტი და ა.შ.) სავალდებულოა მითითებული იყოს, რომ კვლევა განხორციელდა „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მხარდაჭერით“ „This work was supported by East European University“ იმ შემთხვევაში, თუ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში არ იქნება ასახული ზემოაღნიშნული ინფორმაცია, წარმოდგენილი დოკუმენტი არ განიხილება უნივერსიტეტის სამეცნიერო ფონდის მიერ პროგრამული მონიტორინგის განხორციელებისას.
5. საგრანტო პროექტის ფარგლებში შექმნილ ვიზუალურ პროდუქციაზე (ნაბეჭდო, ფოტო, აუდიო, ვიდეო, ელექტრონულ პროდუქციაზე და ვებგვერდზე) სავალდებულოა განთავსდეს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ლოგო და მითითებული იყოს, რომ საგრანტო პროექტი განხორციელდა “ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით”.